საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030100529283921

№ 01-275/ო **13 / ივლისი / 2021 წ.**

„ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მართვა“- კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ[1]“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მართვა“- კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 23 ივნისის №01-283/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე